№ 129

შაბათი, 16 ივნისი, 1901 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

# ივერია

№ 129

შაბათი, 16 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—47)

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“



ამა მდგომარე ივნისის 18 რიცხვს გაიცემა

## ს ა ჯ ა რ ო ვ ა ჭ რ ო ბ ი თ

ჭიათურის ეკკლესიის აშენების საქმე. ვისაც ვაჭრობაში ჰსურს მონაწილეობის მიღება, უნდა გამოცხადდენ დ. ჭიათურაში გალუსტოვის სახლში 12 საათზე. ამავე დღეს მოხდება ვაჭრობა სკოლის შენობის გასაცემადაც, რომელშიაც დროებით ეკკლესია უნდა მოთავსდეს. პირობანი წინდაწინ შეუძლიანთ მსურველთ შეიტყონ ტეხნიკოს წერეთელთან და აგრეთვე მღვდელ ლავრენტი დევიძესთან.

ჭიათურის ეკკლესიის ამშენებელი კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი ლავრენტი დევიძე. (2—138—2)

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ქ რთული წარმოდგენა

ტფილისის საზაფხულო კლუბში

შაბათს, 16 ივნისს, 1901 წ.

ქართული თეატრის არტისტები:

ქ-ბ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. მესხი და ვ. გუნია

გამართავენ პირველს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქმნება

I

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

კომედია 2 მოქმ. თავ. რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული.

II

დათვი

ვოდევილი 1 მოქ. ჩეხოვისა.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია: ექვს შაურიდგან მანათ-ნახევრამდე.

კლუბის არა წევრნი ბაღში შესვლისათვის 50 კაპ. იხდიან.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ბილეთები სათავად-აზნაურო თეატრში იყიდება, ხოლო წარმოდგენის საღამოს კლუბის ბაღში. (3—3).

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

## გამგეობისაგან

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადთა ალექსანდრე, ივანე და მიხეილ გიორგის ძეთა ბებურო-ვაჩნაძეების მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ხუთასის (500) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავადთ ბებურო-ვაჩნაძეთა, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება.

(3—6.—1)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1901 წლის 20 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, რომელიც ქალაქ ფოთის მე-67 კვარტალში მდებარეობს № 631, ზომით ას ოცდაათი ოთხ-კუთხი საჟენი, სიგრძით—გაგარინის ქუჩაზედ—ხუთი საჟენი, ხოლო სიგანით—26 საჟენი; საზღვრები: აღმოსავლეთით—გაგარინის ქუჩა, დასავლეთით—ბოტენკოს ადგილი, სამხრეთით—ვ. წილოსანის ადგილი და ჩრდილოეთით—ს. იმედაიშვილის ადგილი. (3—6.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუღაინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატიღოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარჯვებიძე—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხნიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** 11 ივნისს რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგე კომიტეტს დაუდგენია, სხვათა შორის, გამოსცეს რუსულად ვახუშტის გეოგრაფიის თარგმანი. ამ წიგნის თარგმნა მიენდო მ. გ. ჯანაშვილს, რომელმაც უნდა გადათარგმნოს პირდაპირ ბატონიშვილის ვახუშტის ხელნაწერიდგან, თუ ეს ხელნაწერი დაუთმო განყოფილებას დროებით საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიამ, სადაც იგი ინახება. თარგმანის რედაქცია მინდობილი აქვთ ბ-ნთ: ვეიდენბაუმს, თაყაიშვილსა და ლოპატინსკის.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკი ალუძრავთ ახალ მანქანებისა და იარაღის გამოსაცდელ სადგურების დაარსების შესახებ. ერთი ასეთი სადგური კავკასიაშიაც იქმნება დაარსებული.

*** 1900 წლის 22 ნოემბრამდის ბათუმით შემოუტანიათ საზღვარ-გარეთიდგან სულ 600 ფუთი აბრეშუმის თესლი, ხოლო ნოემბრიდგან 1901 წლის 1 აპრილამდის—$1,103^1/_2$ ფუთი. თუ ფუთს 760 მანეთად ჩავაგდებთ, სულ შემოუტანიათ 1,294,280 მანეთის თესლი.

*** წელს ტფილისის დედათა 1-ლ გიმნაზიაში სწავლა დაუმთავრებია, სხვათა შორის, შემდეგს ქართველ ქალებს: ნად. ბაქრაძეს, ბარ. გადაფხაძეს, ვალ. გამრეკელიძეს, ბარ. ქართველიშვილს, მარ. ლაფერაშვილს, თამ. კურამიშვილს, ეკ. ჯორჯაძეს, ლიუდ. ჩაგიაშვილსა და ელ. შატბერაშვილს.

*** ბაქოს საგუბერნიო მთავრობის შუამდგომლობის თანახმად, სამინისტროს გადაუწყვეტია ნება დართოს 25 ივნისამდის შეღავათიანის ტარიფით ისარგებლონ ბაქოს იმ მუშებმა, რომელნიც უსაქმოდ დარჩნენ და სამშობლოში ბრუნდებიან.

*** როგორც ქუთაისიდგან „ახ. მიმ.“-ს სწერენ, ადგილობრივს ქალაქის საქმეთა საკრებულოს განუხილავს და დაუმტკიცებია ქალაქ ქუთაისის ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა, ხოლო ქალაქ ოზურგეთის ხარჯთ-აღრიცხვა უკანვე დაუბრუნებია შესასწორებლად.

*** როგორც ამავე გაზეთს ოზურგეთიდგან სწერენ, იქ ნედლი პარკის ფასი 8—$8^1/_2$ მანეთიდგან 12—13 მანეთამდე აწეულა.

*** კაი ხანია, რაც რუსეთში საგლეხო საადგილ-მამულო ბანკი არსებობს და ბევრჯერ უნდოდათ მისი განყოფილება ამიერ-კავკასიაშიაც დაეარსებინათ, მაგრამ აქამდის ვერ მოაგვარეს ეს საქმე. ამ ჟამად ისევ აღიძრა ლაპარაკი ამიერ-კავკასიაში ზემოხსენებულ ბანკის განყოფილების დაარსების შესახებ, რადგანაც ასეთი ბანკი ხელს შეუწყობს რუსეთიდგან გადმოსახლებულთ ადგილ-მამულის შეძენის საქმეში. („ახ. მ.“)

*** ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად ასახელებენ ანაპის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ბ-ნ ვოლგოდას. („ჩერნ. ვესტ.“).

*** ახალ-სენაკი. სამს ივნისს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. მახლობელ სოფელ ძონძირის მცხოვრები გლეხნი—ჟვანია, ჩიქობავა და ხურცია დამთვრალან სენაკში, შემდეგ წასულან თავიანთ სახლში. სანამ სახლში მივიდოდნენ, გზაზედ ჩხუბი მოსვლიათ, ხურციას ჩიქობავა დაუჭრია, ხოლო ჟვანიას რევოლვერით ხურცია მოუკლავს. დაჭრილ ჩიქობავას განუცხადებია: „პირველად მიზეზი ხურციამ მისცა ჟვანიას და მოსაკლავად ხანჯალ-ამოღებული გამოეკიდა, მაგრამ ჟვანიამ რევოლვერი ესროლაო“. დამნაშავე შეპყრობილია. გამოძიება სწარმო-

ებს. ჩიქობავა საშიშოდ არ არის დაჭრილი.

აქეთ საშინელი გვალვებია. სამწუხარო სურათს წარმოადგენს ნათესობა. თითქმის თვეზე მეტია, ხეირიანი წვიმა არ მოსულა. ბალახი გახმა; წყლები დაშრა, სიცხეები აუტანელია.

*** სოფ. ნოქალაქევი (სენაკის მაზრა). ხანგრძლივის გვალვის შემდეგ მაისის უკანასკნელ რიცხვებში ცა უცბად მოიღრუბლა და წამოუშინა ელვა-ქუხილით კოკის-პირული წვიმა. იქვე მახლობელს, ეგრედ წოდებულს „მარსელის“ საყანე მინდორზედ გლეხები მუშაობდნენ. უცებ ცამ დაიჭექა და მეხი იქვე ერთს მომუშავე 16—17 წლის ყმაწვილს დაეცა და იმ წამსვე სული განუტევა. გლეხები მისცვივდნენ, მაგრამ ყმაწვილი გალურჯებული მკვდარიდა ჰნახეს.

აქეთ ჯერ-ჯერობით ყანებს ვერავერი პირი უჩანს. არც სანაქებოდ ახსია „ადესის“ ვაზს. ამ ივნისის პირველ რიცხვებიდგან აღმოსავლეთის ღონიერი ქარი ჰქრის, რამაც ძალიან ავნო ყოველგვარ ნამუშავარსა.

## კავკასიის მომავალი გამოფენა

ბაქოს საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ 12 ივნისს დაამტკიცა ბაქოს ქალაქის საბჭოს დადგენილება 11,000 მანეთის გადადების შესახებ მომავალ კავკასიის გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

—

11 ივნისს რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას დაუდგენია, სხვათა შორის, წარადგინოს კავკასიის მომავალ გამოფენის სამეცნიერო განყოფილებაში თითო ცალი საგეოგრაფო განყოფილების ყველა გამოცემათა და დაბეჭდილი სია ამ გამოცემებში მოთავსებულ წერილებისა.

—

ტფილისის პოლიცმეისტერს ნება დაურთავს, რომ მომავალ გამოფენის შესახებ განცხადებანი გაკრულ იქმნას ქალაქის რესტორანებსა, ქუჩებსა და სხვა საზოგადო ადგილებში.

## წერილი წყალტუბოდგან

—

ქალაქს ქუთაისს დასავლეთისაკენ უძევს სოფ. წყალტუბო, რომელიც ქუთაისიდგან თორმეტი ვერსით არის დაშორებული. სოფელს აქვს თბილი წყლები, რომელსაც „წყალტუბოს აბანოს“ ეძახიან. ყოველ-წლობით ამ აბანოში ასობითა და ათასობით მოჰყავთ სამკურნალოდ სხვა-და-სხვა სენით შეპყრობილნი ავადმყოფნი და განსაკუთრებით-კი ქარებიანნი; „წყალტუბოს“ აბანოებში სეზონი აპრილის თვიდგან იწყება და თავდება 1 ოქტომბერს, მაგრამ, რადგანაც „წყალტუბოში“ ზაფხულობით უზომო სიცხეები იცის, ამიტომ იქ წასვლას ისევ აპრილიდგან შუა ივნისამდის ამჯობინებენ და შემდეგ 20 აგვისტოდგან ოქტომბრამდის. „წყალტუბოს აბანოები“ ადგილობრივ მცხოვრებლებს აზნაურებს იოსელიანებს ეკუთვნის, რომლებიც თავისს აბანოებს სხვა კერძო კაცებს იჯარით აძლევენ. საბანავო აუზები ორს შენობაში არის მოთავსებული, რომლებიც 60 საჟენ ხედ არიან ერთმანეთს დაშორებულნი; ერთს ეძახიან გაღმა აბანოს, ხოლო მეორეს გამოღმას. გაღმა აბანოს აქვს ხუთი თვალი აუზი, გამოღმას-კი მარტო ორი აუზი. არც ერთს შენობას არა აქვს შესაფერისათ მოწყობილი საბანავო აუზები. გარეშემო ორსავე აბანოს ოთხმოცზედ მეტი საბინავო ოთახი აქვს მომსვლელ ავადმყოფებისათვის; ოთახები პატარებია, უბრალოდ მოწყობილი, მაგრამ თითო ოთახში დღე და ღამე მანეთს ახდევინებენ. ბანაობა-კი ერთს დღე და ღამეს აბაზი ღირს. აბანოს აუზები დღეში ოთხჯერ იწმინდება და შეუძლიან მსურველს დღეში ოთხჯერ იბანაოს; შეუძლიან აგრეთვე ავადმყოფს აუზში საბანაოთ ორს-სამს საათს დარჩეს, მაგრამ უმჯობესია ნახევარი საათიდგან ერთ საათს დარჩეს. წყალი ბუნებით თბილია, რომელსაც სითბო $28^1/_2$—29 გრადუსამდისა აქვს, აბანოს მეტად აქებენ ქარებისათვის (ревматизмъ), მაგრამ რამდენად დიდი თვისება აქვს „წყალტუბოს“, სარწმუნოდ არავინ იცის. წყალტუბოს აბანოებს კარგი გაშლილი და ვაკე ეზოები აქვს, განსაკუთრებით-კი გაღმა აბანოს. ეჭვი არ არის, აბანოები რომ ერთს კაცს ეკუთვნოდეს, უფრო კარგს ნიადაგზედ იქნება დაყენებული და მოწყობილი, ახლა-კი მონაწილეები ერთმანეთს შესცქერიან და მითი საქმე ხდება.

ერთი დიდი უხერხულობა და ნაკლი ამ აბანოებისა ის არის, რომ აბანოები დაბალს ადგილშია და გარშემო ჭაობიანი ადგილები და დელები არტყია; ამის გარდა, არა აქვს ცივი წყლები დასალევად და ხშირად ციებ-ცხელება ჩნდება, ასრე რომ თუ ავადმყოფი დიდს ხანს დარჩა აქა და თავს ძლიერ არ გაუფრთხილდა, მორჩენის მაგივრად ციებ-ცხელებას წაიღებს თანა.

ამ აბანოებს გარდა ორი თბილი წყარო კიდევ სხვა ამოდის აქა: ერთია გაღმა აბანოსაკენ, მეორე გამოღმა აბანოსთან გაღმა აბანოს წყაროს თავის ტკივილის წამლად ასახელებენ, გამოღმა აბანოსას კუჭის ტკივილისათვის ხმარობენ, რომელსაც ფიცარი აქვს გამოკიდებული შემდეგი რუსულ-ქართულის წარწერით: „მკურნალების შემოწმებით ორი ჩაის სტაქანი ამა აბანოს წყლისა უზმოზედ დილით მიმდებს კუჭის ტკივილს უსპობსო“. ამ წარწერამ ძალიან გამაკვირვა: თუ ეს მართალია, რომელმა მკურნალებმა შეამოწმეს და როდისა, რატომ არ არის მოხსენებული, და ასეც რომ იყოს, ნახევარი კაცობრიობა კუჭის მოშლილობით არის ავად, ამასთანავე ბოთლი წყალი შაურათ იყიდება, რომელშიაც ოთხი ჩაის სტაქანი გამოდის და ნუ თუ არ შეუძლიანთ ორი ჩაის სტაქანი ამ წყლისა იშოვონ, რომ მოშლილი კუჭი სამუდამოდ გამოაკეთონ?!..

ქრისტიანები და ებრაელები, მართალია, ერთს დროს ბანაობენ, მაგრამ სხვა და-სხვა აუზებია მათთვის დანიშნული; აუზებია საზოგადო, სადაც 40—60 კაცი ერთად ჩადის საბანაოთ; კერძო ნომერი-კი ერთისათვის სრულიად არ არის. ამასთანავე აუზებში ყველა ავადმყოფებს შეუძლიანთ ჩასვლა, რა სნეულებითაც უნდა იყვნენ ავად, და ეს კი, ეჭვი არ არის, დიდი ნაკლია აბანოსათვის. აქვთ აგრეთვე აფთიაქი და ფერშალიცა ჰყავთ, მაგრამ მკურნალის ხსენება-კი არ არის; კარგი იქმნებოდა წყალტუბოს აბანოებს ზაფხულობით სახელმწიფო მკურნალს მისცემდნენ, რომელსაც ავადმყოფების გასინჯვა და თვალ-ყურის დევნება უნდა ჰქონდეს დავალებული, რომ საერთო აუზებში ერთის ავადმყოფის სნეულება მეორეზედ არ გადავიდეს; შემოწმების შემდეგ შესაძლებელი იქმნება ერთნაირი ავადმყოფები ცალკე აუზში ჩაუშვას საბანაოთ, სხვანი სხვაში. ეხლა-კი გარჩევა არავის არა აქვს. ზოგიერთი კარგათ მყოფი სტუმრათ მიდის, ან ავადმყოფს ახლავს და ესენიც ბანაობენ. ამ რიგად, უნებლიედ ესენიც შიშში არიან, რომ რაიმე სენს გადიკიდებენ.

წყალტუბოში წეს-რიგის დამცველათ ბოქაულის თანაშემწეა, მაგრამ ქურდობა და ჯიბგირობა მაინც ხშირია. კარგი იქნებოდა, მომსვლელს ხალხს პასპორტს მოსთხოვდნენ და მათს საქციელსაც განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევდნენ.

წყალტუბოს აბანოებთან ორი დუქანია, მაგრამ არც ერთს მათგანში სასმელ-საჭმელი არა აქვთ და თუ იშოვის კაცი, ორ დღეში ერთხელ და ისიც მამასისხლათა და უგემურად გაკეთებულს. არც ეს არის, რასაკვირველია, მოხერხებული და ხელშემწყობი მოსულ ავათმყოფთათვის. ვინც იცის იქაური გარემოება, სანოვაგე თან მიაქვს სახლიდგან, მეორეც. სოფლებიდგან შემოაქვთ გასასყიდად ხორაგი, მაგრამ ეს ყველასათვის არ კმარა, რადგანაც აბანოებს დიდ-ძალი ხალხი აწყდება. არ მოიპოვება აგრეთვე არც-ერთი ჟურნალ-გაზეთი, რაიცა მოსულს ხალხს უზომო მოწყენილობას აგრძნობინებს. კარგი იქმნება აბანოების პატრონებმა ყოველსავე ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და გაუმჯობესებას ეცადნენ.

ბ. ვაშაძე

# რუსეთი

—

მოსკოვში დაარსდა და 14 ივნისს მოქმედებასაც შეუდგა ახალი საზოგადოება „წიგნის ვაჭართა საზოგადოება“. საზოგადოებას აზრად აქვს [illegible] თოვოს წიგნების ვაჭრობის [illegible] სეთში. საზოგადოება დრო გამოშვებით გამართავს აუქციონებს, გამოსცემს საკუთარს გაზეთს ან ჟურნალს, დააარსებს ცნობათა მისაღებ ბიუროს და სხვ.

— 9 მაისს ფინანსთა სამინისტროს დიდ დარბაზში უკანასკნელი კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც საკომერციო განათლების საქმე აქვს მინდობილი. კომისიამ, მოისმინა-რა მცირე კომისიათა მოხსენებანი სწავლა-აღზრდის კერძო საგანთა შესახებ, გარდასწყვიტა საბოლოოდ რამდენიმე საქმე, წინა კრებებზედ არ განხილული. 2 საათზედ კრებაზედ მისულა ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტე და იმისი ამხანაგი ვ. ი. კოვალევსკი. კომისიას ამ დროს ლაპარაკი ჰქონდა იმის შესახებ, დედ-მამას და აგრეთვე გარეშე კაცთ ნება აქვთ თუ არა საკომერციო სკოლაში მისვლა და გაკვეთილებზედ დასწრება. მთელი საათი გასტანა კამათმა ამ საგნის შესახებ, ბოლოს კრებამ პრინციპიალურად დაადგინა, ნება აქვს ყველას გაკვეთილებზედ დასწრებისა, მხოლოდ მსურველმა ყოველთვის ნება-რთვა უნდა აიღოს დირექტორისა და იმ მასწავლებლისაგან, რომლის გაკვეთილზედ დასწრებასაც ჰფიქრობს. ბოლოს კომისიამ, რომელსაც მინისტრმა დიდი მადლობა გადაუხადა შრომისათვის, დაამთავრა მუშაობა. ამ კომისიაში მონაწილეობას იღებდა 100 კაცამდე. ცნობილ მეცნიერთა და წარჩინებულ კაცთა გარდა, ამ კომისიის წევრებად იყო თითქმის ყველა საკომერციო სასწავლებლის დირექტორი.

— პეტერბურგში მომავალ სექტემბრიდგან არსდება უმაღლესი საკომერციო კურსები ბუღალტერიის მასწავლებელთა და კომერციის მოღვაწეთა მოსამზადებლად. ასწავლიან ამ კურსებზედ: კანონმდებლობას, სავაჭრო უფლებას, სავექსილო უფლებას, საპოლიტიკო ეკონომიას, საკომერციო გეოგრაფიას, სტატისტიკასა და ანგარიშს. სწავლის ვადა ორის წლით იქმნება.

— სატარიფო კომიტეტის უკანასკნელ სხდომას ლაპარაკი ჰქონდა იმ შეღავათების შესახებ, რომელიც მოსწავლეთ უნდა მიეცეთ რკინის გზებით მო-

# ფელეტონი

—

## ჩვენი ეროვნული თვით-ცნობიერება.

(შემდეგი *)

დიახ, დაკნინებული და დამახინჯებული იყო მაშინდელ ქართველების ცხოვრება! და აკი ამ „გონება გახსნილ ყმაწვილ კაცების“ უკეთესი წარმომადგენლები სამშობლოს ასეთ დაკნინება-დამახინჯებით გულმოკლულნი და დაღონებულ-დამმარებულნი მწველ სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ; მათი გულის წვა-დაგვა იქამდე აღწევდა, რომ ჰნატრობდნენ კიდეც, სადმე შორს, შორს გადახვეწილიყვნენ და არ ემზირათ სამშობლოს ასეთი გათახსირება-დაცემისათვის. „...ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის“—ჰკვნესის ერთი ამ ყმაწვილ კაცთაგანი—ნ. ბარათაშვილი.

აი, რა შხამი ჩაუწვეთებია პოეტის მგრძნობიარე და სამშობლოს სიყვარულით აღგზნებულ გულში თანამედროვე ცხოვრების სიდუხჭირესა და გახრწნას!

„...სული მიწუხს, გული ჩემი მწარედ ღონდება“, გოდებს მეორე ჩვენი პოეტი—ვ. ორბელიანი, „როდესაც სამშობლოს მწარე ბედს წარმოვიდგენო“.

დიახ, ასეთს უიმედობას უნერგავდა გულში ყველა ნამდვილ მამულისშვილს საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა: მისი სულიერად მოუძლურება-დამახინჯება, გადაგვარების გზაზე დადგომა და გაფუქსავატება... „მაგრამ ძნელია ერის ცხოვრების მაჯის ცემა ისე შესწყდეს, რომ არ მოქმედებდეს რა ასე თუ ისე სახვალიოდ“, ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს.

საქართველოშიაც ასე მოხდა. მისი მიძინებული, კარჩაკეტილი და დაქსაქსული ცხოვრება, სადაც ამ საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ აქა იქ ცალ-ცალკე, ოდნავ ჰბჟუტავდა შეგნებული თვითცნობიერება, შესამჩნევად გამოფხიზლდა მესამოცე წლებში,—იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთს მოეფინა სხივი ალექსანდრე II-ს „დიდის რეფორმებისა“. საქართველოსაც, როგორც რუსეთის ერთ ნაწილთაგანს, მოჰხვდა ცხოველ-მყოფელი სხივი ამ განმათავისუფლებელ ცვლილებათა; ჩქარა აქაც გაისმა „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“, რომელსაც ისე გატაცებით ჰნატრობდა მამულისათვის მაშინდელი შეგნებული ახალგაზდობა. ქართველების დამდგარი, დაობებული, უმოძრაო და ფუქსავატური საზოგადო ცხოვრება შეანძრია და აამოძრავა ამ ახალმა სიომ, ახალმა დრომ. გამოფხიზლება, რასაკვირველია, თავდაპირველად ქართველ ახალგაზდობას დაეტყო: ზოგიერთნი მათგანნი რუსეთისკენ გაეშურნენ, სადაც მათ, „გაეხსნათ კარი სიბრძნისა“ და სადაც „სიბრძნის მამები—პროფესორები, მათთვისს მოცლილნი, მათთვის მქადაგნი“ [1]), ეპოქის სიდიადითა და ბრწყინვალებით გატაცებულნი, უნერგავდნენ მოწინავე აზრებსა და პროგრესიულ იდეებს.

ამ დროს რუსეთის საზოგადო აზრი, რუსული პუბლიცისტიკა დობროლიუბოვისა და „გოგოლის პერიოდის“ ავტორის მადლიან ნიჭის ზედგავლენით შესანიშნავად გამოცოცხლდა, გაბრწყინდა და თვისის ულმობელის კრიტიკით გაჰკიცხა და დაჰგმო უმეცრება-გაპირუტყვების ის „ბნელი სამეფო“ [2]), რომელსაც მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოადგენდა.

ძველებური ანტიპედაგოგიური და ბარბაროსული წესი სწავლა-განათლებისა შესანიშნავის სიცხადითა და მიუდგომლად დაახასიათა და დაჰგმო პომიალოვსკიმ თავისს „Очерки бурсы“-ში და ცოტა გვიან კი პისარევმა ისარგებლა ამ წიგნში მოგროვილ მასალით და თავისს მწვავსა და შესანიშნავს წერილში „Погибшіе и погибающіе“ სამუდამოდ წესი აუგო და ქვესკნელში გაატარა ეს უაზრო და ბარბაროსული წესი სწავლა-განათლებისა. მაშინდელ რუსულ სიტყვა-კაზმულ მწერლობამაც ფრთა შეისხა, რადგანაც მას ისეთი ბრწყინვალე ადამიანები ემსახურებოდნენ, როგორნიც არიან ტურგენიევი, ტოლსტოი და სხ.

აი ასეთ გამაცოცხლებელ ატმოსფერაში მოხვდნენ და ასეთს შესანიშნავ ხანაში აღიზარდნენ ქართველების გამომაფხიზლებელნი და მათი თვით ცნობიერების გამაახლებელნი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ანტ. ფურცელაძე და სხვ.

ამათ სიტყვითა და საქმით, მწერლობითა და პუბლიცისტურ მოღვაწეობით შესამჩნევად გამოაღვიძეს ქართველი ერი: გაახსენეს მას თვისი წარსული, ჩაახედეს თანამედროვე ცხოვრებაში და დააფიქრეს მომავალზედ. ილია ჭავჭავაძემ ღრმა-აზრიან ლექსებსა და მოთხრობებში კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ქართველების უაზრო და ქარაფშუტული ცხოვრება („კაცია ადამიანი?!“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“?), აკაკიმ კოპწია და მარგალიტებივით აწყობილ ლექსებით შეაყვარა ქართველს თვისი სამშობლო, მისი წარსული, მისი მდიდარი ბუნება და ამავე დროს შეუბრალებლად დაჰგმო და შეარცხვინა ყველა ის, ვინც პირად სარგებლობისათვის „სხვის ქურქს ისხამს, თვის ტომს იწუნებს და ჰგმობს დედა-ენასა“.

*) იხ. „ივერია“ № 128.

[1]) გრ. ორბელიანი.

[2]) იხ. დობროლიუბოვის „темное царство“, რომელშიაც ოსტროვსკის კომედიების გამო საუცხოვოდ არის დახასიათებული რუსთა მთელი ცხოვრება.

მგზავრობის დროს. ამ შეღავათის შესახებ შუამდგომლობა სამოსწავლო უწყებას აღუძრავს. სხდომაზედ მოწვეულ იქმნენ წარმომადგენელნი სამხედრო, ფინანსთა, სამიწად-მოქმედო სამინისტროებისა, იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებისა, უწმ. სინოდისა და სხვათა. შეღავათს სამოსწავლო უწყება მოსწავლეთა ექსკურსიებისათვის თხოულობს. ექსკურსია სამის აზრით შეიძლება: 1) ჩვეულებრივი გასეირნება ქალაქს გარეთ, 2) მგზავრობა ადგილებისა, ქალაქებისა და სხვათა დასათვალიერებლად და 3) სამკურნალოდ გაგზავნა მოსწავლეებისა აგარაკს ან სამკურნალო წყლებზედ. ქალაქს გარეთ გასეირნებას უმთავრესად დაბალ სასწავლებლების მოსწავლენი საჭიროებენ. ამ გასეირნებისათვის სამოსწავლო უწყება თხოულობს დატოვებულ იქმნას დღეს მიღებული უფასო ტარიფი, რომელსაც ძალა 50 ვერსის მანძილზედა აქვს. უფასო ტარიფის საჭიროებას ამ მოსწავლეთათვის სამოსწავლო უწყება მოსწავლეთა სიღარიბით ასაბუთებს. რაც შეეხება ექსკურსიებს ქალაქ-ადგილების და ქარხნების დასათვალიერებლად, სამოსწავლო უწყება თხოულობს, რომ ეს ექსკურსიები არ იქმნას შეზღუდული არავითარის მანძილით; ამასთან სამგზავრო ფასი მეტად მცირე იყოს, ისეთი, მაგალითად, როგორც გადასახლებულ გლეხებს ერთმევათ, ე. ი. საზოგადო ტარიფის ერთი მეოთხედი. უფლება ამ გვარ ექსკურსიებისა განურჩევლად ყველა სასწავლებელს უნდა მიეცეს—მაღალს, საშუალოსა და დაბალს. სასწავლებელი წინ და წინვე უნდა მოელაპარაკოს რკინის გზის ვაგონის დათმობის შესახებ. დაეთმობა მხოლოდ ერთი ვაგონი მესამე კლასისა (40 კაცისათვის). რაც შეეხება ავადმყოფ მოსწავლეთა სამკურნალოდ გაგზავნას, იგი უკვე წინ დახელულია დღეს მიღებულ შეღავათიან ტარიფით. ამ ტარიფის ძალით სასწავლებელთ, სადაც პანსიონია, აგრეთვე ბავშვთათვის მზრუნველ საქველ-მოქმედო საზოგადოებებს უფლება აქვთ გაგზავნონ უფასოდ ავადმყოფი ბავშვები აგარაკებსა და სანატორიებში. ითხოვა სამოსწავლო უწყებამ მხოლოდ ის, რომ ასეთ ავადმყოფთ მესამე კლასის ნაცვლად მეორე დაეთმოთ ხოლმე. სამოსწავლო უწყების ეს შუამდგომლობანი შემუშავებული და განხილული, საბოლოოდ გასახილველად გადაეცემა სატარიფო კომიტეტის უკანასკნელ სხდომას.

— რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ქალაქებში სახელოსნო სკოლები და აგრეთვე სასწავლო სახელოსნოები.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს დაარსოს რუსეთის სხვადა-სხვა ადგილას დაბალი სამთო-სახელოსნო სასწავლებლები განსაკუთრებით მთა-მადნებში მომუშავეთა ბავშვებისათვის.

— ამ ცოტა ხანში პეტერბურგს ჩავლენ ბუდაპეშტის უნივერსიტეტის სტუდენტები. ამ სტუდენტებს აზრადა აქვთ სამეცნიერო აზრით რუსეთის უმთავრესი ქალაქები მოიარონ. შუამდგომლობაა აღძრული, სტუდენტებს რუსეთის რკინის გზებზედ მგზავრობის დროს შეღავათი მიეცეთ.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** როგორც „Standard“-ს ატყობინებენ შანხაიდგან, ვილაცა ტიენ-ლო-სიანგს პეჩილის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მოკრივეთა შორის საკმაოდ დიდი რაზმი შეუკრებია და დაურწმუნებია ამასთანავე ზოგიერთა გამაგრებულ ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი, რომ სამხედრო საზღაურის გასასტუმრებლად შეწერილი გარდასახადი არ გაიღონ. ხმა დადის, რომ რამდენსამე ადგილას იმპერატორის ჯარს ტუნ-ლო-სიანგის რაზმთან შეტაკება მოუხდა და დამარცხებული იმპერატორის ჯარი დარჩა. ყოველს შემთხვევაში, ეს ხმა თუნდაც ტყუილი იყოს, ის არის საფიქრებელი, რომ მოძრაობა და უკმაყოფილება ყოველგან მატულობს და მალე მთელს მანტუნგს მოედებაო. ეს-კი მით უფრო საშიშია, რომ მანტუნგის გუბერნატორს იუნგლუს ამ წინაზედ დედა მოუკვდა და, ჩინელთა ჩვეულებით, იძულებულია სამის წლით სამსახურს თავი დაანებოს, რადგანაც შავებში ყოფნის დროს ქვეყნის მმართვა არ შეუძლიანო. როგორც კი იუნგლუ სამსახურს თავს დაანებებს, მაშინვე არეულობა მოხდებაო.

— „Köln. Zeit.“-ის სიტყვით, ჩინეთში მყოფ ევროპიელთა წრეებში ყველა ღრმად დარწმუნებული თურმე, რომ, როგორც-კი ევროპიელი ჯარები ჩინეთიდგან წავლენ, ადგილობრივნი მცხოვრებნი მაშინვე უცხოელთა დევნას მიჰყოფენ ხელსა და მათს შურისძიებას საზღვარი არ ექნება. ზოგიერთი გულგაიავარდებული ევროპიელი-კი იმ აზრისაა, რომ ევროპიელთა ძლიერებამ ჩინელები საკმაოდ დააშინა და ასრეთს თავხედობას ველარ გაჰბედავენ. რაც ჩინელებმა ამ არეულობის დროს იწვნიეს, ისიც საკმარისია, რომ თავისს გრძნობებსა და ღელვას ცოტა სიფრთხილით მოეპყრნენ და სამტროდ ამხედრებას უკლონო, გაიძახიან იგინი დაიმედებულნი, თუმცა ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ბოლოინდელმა გარემოებებმა მხოლოდ უარესი მტრობა და სიძულვილი დაჰბადა ჩინელებსა და ევროპიელებს შორის.

— გაზ. „Neue Freie Presse“ ჩინეთის ექსპედიციას დიდადა ჰკიცხავს და მოჰყავს ანგარიში იმისი, თუ ამ უსარგებლო ჯარების მიხეთქ-მოხეთქებას რა სამწუხარო შედეგი მოჰყვა. ერთად-ერთი ნამდვილი სასარგებლო ნაყოფი და შედეგი ამ ექსპედიციისა მხოლოდ ის იყო, რომ ევროპიელებმა ელჩები გაანთავისუფლეს, სხვა არაფერიო, რადგანაც დანარჩენში ევროპა სრულიად იმედგაცრუებული დარჩა, სახელმწიფოთა ერთი მეორის საწინაალმდეგო ინტერესებს ვერავითარი წამალი ვერ დასდოო. ამიერიდგან ჩინეთის ძნელი ამოცანა არა თუ ამოცნობილია, გზაც-კი მისდამი გამოსარკვევად სრულიად დახშობილიაო.

და მართლაც, გაზეთის ასეთს შეხედულებაში ძლიერ ბევრია მართალი, თუ რომ ევროპა განგებ თვალებს არ დახუჭავს და საქმეს ღრმად გაითვალისწინებს.

**ჩრდ ამერიკის შეერთებული შტატები.** „New-York-Herald“-ის კორრესპონდენტი დეპეშით იუწყება ვაშინგტონიდგან: ვაშინგტონში მყოფმა რუსეთის ელჩმა გრაფმა კასსინიმ აცნობა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ რუსეთმა ამერიკიდგან შემოტანილ ველოსიპედებსა და ფოსიან ნივთიერებათ საწინააღმდეგო გარდასახადი შეაწერა, რადგანაც ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთიდგან შეტანილს ნავთზედ საბაჟო გარდასახადს იღებენო.

ამერიკის საფინანსო სამინისტროს მოხელენი რუსეთის ასეთს მოქმედებას საკმაოდ დასაბუთებულად არა სთვლიან და ამტკიცებენ, რომ რუსეთიდგან ჩრდილო-ამერიკის შეერთებულს შტატებში კანონიერად შეტანილს ნავთს არავითარი საბაჟო გარდასახადი არა აქვს შეწერილი.

ამერიკის საბაჟო კანონი თხოულობს: თუ რომ რომელსამე ქვეყანაში ამერიკის ნავთზედ საბაჟო გარდასახადს იღებენ, მაშინ ამ ქვეყნიდგან შემოტანილს ნავთსაც გარდასახადი შეეწეროს.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამ წინაზედ ერთმა ფილადელფიელმა იმპორტერმა ბელგიიდგან ამერიკაში ნავთის ზოგიერთნი ნაწარმოებნი შემოიტანა, მაგრამ იმისი მოწმობა კი არ წარმოადგინა, თუ დაუმუშავებელი ნავთი ამ ნაწარმოებთათვის საიდგან იყო მოტანილი. ამის გამო, ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ნაწარმოებთ საბაჟო გარდასახადი შეაწერაო.

როგორც ახლა სჩანს რუსეთის მთავრობის განკარგულებიდგან, ეჭვი არ არის, ეს დამუშავებული ნავთი რუსეთიდგანა ყოფილა გადმოტანილიო,— შენიშნავს გაზეთი.

ჩვენ კიდევ დავსძენთ ამას, რომ რუსეთი დღემდის მხოლოდ შაქარზედ მომატებულს საბაჟო გარდასახადს სჩიოდა და ახლა-კი სჩანს, რომ ამერიკასა და რუსეთს ნავთის საქმეშიაც უკმაყოფილება ჰქონიათ.

— ევროპაზედ მანძილით დიდათ დაშორებული ამერიკელები თავისს დიდსულოვანს ყურადღებას არავის აკლებენ და, თუ სადმე ვისმე გაუმაძღრობის მადა აეშალა, მაშინვე გაფაციცებით თვალყურის დევნებას დაუწყებენ ხოლმე, რომ თავი არ იზარალონ და, თუ სხვანი მას არ მოიგონებენ, თვითონ მაინც არის დროზედ მოაგონონ. აი, ამისი მაგალითიც. ვაშინგტონიდგან დეპეშით აუწყებენ „New-York-Herald“-ს:

ვაშინგტონში დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალს გერმანიას,—მართლა მხოლოდ თავისის ვაჭრობის ზრდა და გაფართოვება აქვს აზრადა, თუ სურვილი აქვს სამხრეთ ამერიკაში გერმანიის დროშას რომელიმე კუთხე დაუმორჩილოს? როგორც დიდის ყურადღების ღირსს მოვლენას, ამერიკელები აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ გერმანელნი თავისს გეოგრაფიულს ქარტებში „ბრაზილიაში გერმანელთა ახალშენებს“ უჩვენებენ.

როგორც ვაშინგტონში მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, გერმანიას შემდეგი პროექტი თურმე აქვს: ბრაზილია სამ ნაწილად გაჰყოს; ჩრდილო ნაწილი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულს შტატებს დაუთმოს, საშუალო-აღმოსავლეთისა—დიდს ბრიტანიას, ხოლო სამხრეთ-ნაწილი ბრაზილიისა გერმანიას დარჩეს.

გერმანელები, ვაჭრობით გამარჯვების გარდა, იმასაც სცდილობენ, რომ ახალშენები დაარსონ და სოციალურად თუ სხვა რამ საშუალებით უფლებგარ... ეცადნენ—ბრაზილია თავისათ გარდაქმნანო. კვირა-უქმე დღეებში ბრაზილიაში იმდენი გერმანული პაირადებია გამოფენილი, რომ უცხო ქვეყნიდგან მოსულ ფიქრადაც არ მოუვა, თუ იგი ბრაზილიის მიწა-წყალზეა და არა გერმანიის რომელსამე ნავთ-სადგურშიო.

---

ნ. ნიკოლაძემ თავისის ნიჭიერის წერილებით გზა გაუკაფა ჩვენში ზოგიერთ მოწინავე იდეებს და ჩააბედა ქართველი ევროპის ცხოვრებაში. ი. გოგებაშვილმა თავისი „დედაენით“ რამდენიმე თაობა აღზარდა მშობლიურს ნიადაგზედ და მით გაუადვილა ახალგაზდობას მძიმე ტვირთი სწავლა-განათლებისა. ამ ნაყოფიერ მოღვაწეობას გულ-მოდგინედ ხელს უწყობდა გიორგი წერეთელიც, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ პრესსის აღორძინება-გამაგრების საქმეში.

მესამოცე წლების ჩვენი მოღვაწეები უნდა ჩაითვალნენ ქართველთა თვითცნობიერების გამოღვიძების პიონერებად. მათ შეიტანეს სიცოცხლე საქართველოში: აამოძრავეს მისი დაგუბებული და მდორე საზოგადოებრივი ცხოვრება; მოურიდებლად დაჰგმეს „მამათა“ ფუქსავატობა, უკან ჩამორჩენა, უაზრო ცხოვრება... ამ კრიტიკამ ქართველებს აუმოძრავა დაბნელებული გონება: მათ ახლა ზერეულად მაინც გადაავლეს თვალი წარსულს და ჩაუკვირდნენ აწმყოსაც. მაგრამ ეს გამოღვიძება, ეს დაკვირვება მაინც ძლიერ გამოურკვეველი და სუსტი იყო, რადგანაც ორმოც-და-ათი წლის უაზრო, უმიზნო და ფუქსავატმა ცხოვრებამ ბევრი რამ წარუტაცა, ბევრი რამ შეუსუსტა და გაურყვნა ქართველ ერს. როგორც სუსტად განახლებულ-გაღვიძებული, ეს ჩვენი თვითცნობიერება დღესაც, რამდენისამე ათის წლის შემდეგაც, არ არის გამაგრებული, გალონიერებული და სრულ ასაკში მოსული. ის თუმცა კანონიერად დაიბადა, მაგრამ შესამჩნევი უფლებანი ჯერაც ვერ მოიპოვა. მისი სამფლობელო ჩვენში დღესაც ძლიერ ვიწრო და შემოფარგლულია. თითო ოროლა ქართველის გულში თუ აქვს მას საიმედო და უტყუარი ბინა-თავშესაფარი! საზოგადოთ-კი იგი საქართველოში იშვიათი სტუმარია.... მართლაც, გადავავლოთ თვალი ჩვენს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას და დავუწყოთ ძებნა ამ ცხოვრებაში ნამდვილ და შეურყეველ ეროვნულ თვით-ცნობიერებას.

ეს თვალის გადავლება ცხადად დაგვარწმუნებს, რომ საქართველოს ყველა კუთხეში და ქართველების ყოველს წოდებაში დღესაც ძლიერ სუსტობს და ჰკოჭლობს ეროვნული თვით-ცნობიერება.

დავიწყოთ ჩვენებურ ინტელიგენტებიდგან. ჩვენ ბლომად გვყავს „დიპლომიანები“ რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სწავლა-განათლება მიუღიათ. მათი რიცხვი ახლაც დღითი დღე მატულობს და იზრდება. მაგრამ საქმე „დიპლომიანთა“ რიცხვის ზრდაში როდია,— საქმე ის არის, ამ „დიპლომიანთა“ გამრავლებით ემატება თუ არა რამე საქართველოს ერს? მათი შრომა-მოღვაწეობით უმჯობესდება და პროგრესიულ გზას ადგება თუ არა მისი ცხოვრება? სამწუხაროდ, გულ ახდით უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენებური „დიპლომიანები“ ძლიერ ნაკლებად იძლევიან რამე სასარგებლო ნაყოფს, რადგანაც ისინი იშვიათად გამოდიან საზოგადო ასპარეზზედ და თუ როდისმე გამოდიან, ისიც ვიწრო სადასო ინტერესებით, პირადის ანგარიშით და მაზრულ პატრიოტობით გატაცებულ-გაჟღენთილნი. ამისათვის იმათ ვერ შეაქვთ და არც შეუძლიანთ შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჰუმანიური აზრი, ცხოველი გრძნობა, საქმის სიყვარული, მხნეობა, უანგარობა და შრომა. რათა? იმიტომ რომ ისინი ეროვნულ თვით-ცნობიერებას მოკლებულნი არიან; იმიტომ რომ ისინი მშობლიურ ნიადაგს მოსწყვიტა ჩვენებურმა ოჯახმა და სკოლამ; იმიტომ რომ მათ გულ-ღვიძლში გამჯდარი არ არის თავისის ერის, მისის წარსულის უანგარო სიყვარული, თუმცა ხშირად კი გაიძახიან „გაუმარჯოს საქართველოსაო“.

ერთი სიტყვით, იმიტომ რომ ისინი, თუმცა შეიძლება ინტელიგენტები იყვნენ, მაგრამ ქართველი ინტელიგენტები-კი არ არიან.

ყველა ერის ინტელიგენტობას აუცილებელ და უთუო მოთხოვნილებას შეადგენს, რომ მას გარკვეული ჰქონდეს და იცოდეს თავისის ერის წარსული ცხოვრება; რომ მას გაგებული ჰქონდეს ის მისწრაფება და იდეები, რაც მას ასულდგმულებდა და ერად ხდიდა; რომ მას შესწავლილი ჰქონდეს ერის თანამედროვე ვითარება, მისი გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიური მდგომარეობა... აქვთ თუ არა ქართველ ინტელიგენტებს ეს აუცილებელი თვისება ინტელიგენტობისა? გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არა და არა!

ჩვენის ერის ისტორია, მისი საგმირო და თან სავალალო ათას წლიური თავგადასავალი ქართველ ინტელიგენტებისათვის სწორედ რომ „terra incognita“-ა.

ამ ჩემის აზრის წინაალმდეგ, დარწმუნებული ვარ, ხმას ვერ დასძრავე ჩვენი „დიპლომიანები“, გარდა ორიოდ ადამიანისა, რომლებსაც ჩვენის ისტორიის შესწავლა სპეციალურ საგნად გაუხდიათ... ამ ნაირად, ჩვენი „დიპლომიანები“ ერთს, ყველა ინტელიგენტისათვის აუცილებელ საჭირო თვისებას მოკლებულნი არიან... მათ აკლიათ თავისის ერის წარსულ ცხოვრების ცოდნა. მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენმა ინტელიგენტებმა არ იციან აგრეთვე თავისი ერის ლიტერატურა და არც-კი სცდილობენ მის შესწავლას. ძველ ჩვენ მწერლობას თავი დავანებოთ; ჩვენს თანამედროვე ლიტერატურასა და მწერლობასაც ზერეულად მაინც არ იცნობენ, არა, მწერლების სახელები კი იციან, მაგრამ მათი მიმართულება, მისწრაფება, აზრი იმათთვის „terra incognita“-ა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ერთ ფრანგულ ტეხნიკურ ჟურნალში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ჟიულ ანრივისა მინის შესახებ. დიდი მერმისი მოელის მომავალში მინასაო, სწერს ანრივი. ანრივის აზრით, მეოცე საუკუნეში მინა საუკეთესო საშენებელი მასალა იქმნება; იმისაგან ააშენებენ სახლებს, გააკეთებენ ჭურჭელს, ავეჯს და სხვას. მინის გაკეთება ძალიან ადვილია, მასალაც ბლომად მოიპოვება, ამასთან რა ფორმაცა და ფერიც გნებავთ, იმას მიაღებინებთ მინას. მინისაგან შეიძლება გაკეთება ჩარჩოებისა, კარებისა, აივნებისა. შეიძლება მინა მეტად თხელი იყოს, იმდენად თხელი, რომ მატერია მომზადდეს ტანისამოსისათვის. მინისაგან აშენებულ სახლს, ანრივის აზრით, საძირკველი და კედლები ეგრეთ წოდებულ ქვის მინისა უნდა ჰქონდეს, რომელიც მეტად მაგარი და მკვიდრი რამაა თურმე. ეს მინა ყველა სხვა მასალაზედ უკედ დაიცავს სახლში მცხოვრებთ სიცივისა და სიცხისაგან. კიბეები, ბუხრები, კედლის დასამშვენებლები, ყველა ეს შეიძლება მინისაგან მომზადდეს. სკამებისა და სტოლების გაკეთებაც შეიძლება მინისაგან. სიმკვიდრით ასეთი სკამი და სტოლი მუხისას არ ჩამოუვარდება. აგრეთვე მინისაგან შეიძლება მომზადდეს ყოველგვარი ჭურჭელი: ქვაბები, კოვზები, დანები და ჩანგლებიც-კი. ასეთი სახლი მეტად მოხერხებული და სუფთა იქმნება. ყოველთვის ადვილად შეიძლება გაწმენდა და გარეცხა ამ გვარ სახლისა. ამას გარდა სინოტივის შიში არასოდეს არ ექნებათ იქ მცხოვრებთ.

მინა დღესაც დიდ ხმარებაშია ევროპაში. პარიჟში, მაგალითად, ქუჩებსა ჰკირწყლავენ ეხლა იმით. ერთი უპირატესობა მინისა ისაა კიდევ, რომ იგი ყველა სხვა საშენებელ მასალაზედ იაფია.

***

როგორც ინგლისურ გაზეთებს ამერიკიდგან დეპეშით ატყობინებენ, კუნძულ იამაიკიდგან ბოსტონში ჩასულა პარვახლის ობსერვატორიის გამგე. კუნძულზედ ყოფნის დროს გამგეს გადაუღია მთვარის ფოტოგრაფიული სურათები. ამ სურათებიდგან აშკარადა სჩანს თურმე, რომ მთვარეზედ თოვლი ყოფილა.

***

დიდძალი ქაღალდი იხარჯება ამ ბოლოს დროს. ემილ გოტიეს გამოანგარიშებით, მარტო პარიჟის კარნავალის დროს ეგრედ წოდებულ „კონფეტტზედ“ 200,000 კილოგრამა ქაღალდი იხარჯება. ამ ქაღალდისაგან აშენებული სახლი ეიფელის კოშკზედ 20-ჯერ მაღალი იქნება. ქალაქის უკანასკნელ არჩევნების დროს პარიზში მარტო ბიულლეტენებს დასჭირდა 8.162 კილოგრამმა ქაღალდი. ეხლა წარმოიდგინეთ, რაოდენი ქაღალდი სჭირდება ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, წერილებს კანცელარიებს და სხვას. წელიწადში ქარხნები 200.000,000 ფუთ ქაღალდს ამზადებენ.

***

საზარელი მკვლელობა აღმოუჩენიათ ამას წინად ეტტერბეკში. ამ ქალაქში სცხოვრობდნენ თურმე მეუღლენი დემეიები. ქმარი დამზღვევ საზოგადოების აგენტად იყო. მეუღლენი კარგად სცხოვრობდნენ. ამ რამდენისამე ხნის წინად, კვირა დღეს, სადამოთი სადგომიდგან მეზობლებს ხმამაღლა ლაპარაკი გაუგონიათ, რომელიც ბოლოს ჩხუბად გადაქცეულა, მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ სადგომში სიჩუმე ჩამოვარდნილა. ამ დღიდგან ქ-ნი დემეი სადღაც გამქრალა. ოთხშაბათს დილით ერთ დგმურს, დავანსის, რომელიც სამზარეულოში მუშაობდა, რაღაც საზარელი სუნი სცემია. სუნი დემეის სადგომიდგან მოდიოდა თურმე. დავანსი დემეის სადგომისაკენ წასულა და შეუღია თუ არა კარები, მაშინვე დარწმუნებულა, რომ სუნი ამ სახლიდგან გამოდიოდა. როდესაც მეზობელს უკითხნია ცოლის ამბავი, დემეის ყოყმანით უთქვამს, რომ ვერვიეში გავგზავნეო. ეჭვით შეპყრობილ დავანსის მაშინვე პოლიციისათვის უცნობებია. როდესაც პოლიციელი მისულა, ფერ წასულ და შემკრთალ დემეის გამოუხედნია. „რად დაუძახეთ კომისარს, უთქვამს დემეის მეზობლისათვის, დაუძახებდით მაშინ, როდესაც თავს მოვიკლავდი. ეხლა-კი ჩემის ქალის ქაღალდებს ვაწესრიგებდიო“. შემდეგ პოლიცია ოთახში შესულა, და აი რა უნახავს იქ: თავახდილ სკივრში იდო თურმე ქალის გვამი, წვრილ ნაჭრებად აკუწული. იდო მაშინვე დააპატიმრეს. მიზეზი მკვლელობისა დღესაც ვერ გაუგიათ. დემეის 17 წლის ქალი ჰყავს პანსიონში, რომლისათვის მკვლელობის ამბავი ჯერ არ უცნობებიათ.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 ივნისი.

**ვენა.** გრაფი გოგენვორტ გერმახშტეინი, ტანჯერის ელჩი, დანიშნულ იქმნა მექსიკის ელჩად. საელჩოს მრჩეველი გრაფი კენევილი პუტე დანიშნულ იქმნა ტანჯერის ელჩად რწმუნებულ მინისტრის წოდებითა და მდგომარეობით.

**პარიჟი.** გრაფილიურ-სალიუსი ბელგიაში წავიდა.—პარიჟსა და ბერლინს შორის ავტომობილთა მიმოსვლა დაიწყო დილის 3½ საათზედ შამპანიის სიმაგრიდგან მრავალ ხალხის თანადასწრებით.

**ვაშინგტონი.** იტალიის მთავრობამ აუწყა ამერიკისას, რომ იტალია შაქარზედ არავითარს შემოსატანს პრემიას არ იძლევაო.

**მადრიდი.** ოპოსტოში შავი ჭირი გაჩნდა, 12 კაცი გახდა ავად და 4 მოკვდა.

**ლონდონი.** შეერთებულ კლუბის დღევანდელს მეჯლისზედ, თავმჯდომარე სალისბიურიმ სიტყვა წარმოსთქვა: „უნიონისტებმა წაართვეს ძალა ოპოზიციას და დაარღვიეს თანასწორობა კონსტიტუციის მოქმედებისა, რომელიც ეხლა ჩვეულებრივის სისწორით არ მოქმედებსო“. სალისბიური არ არის კმაყოფილი საქმეთა დღევანდელ მდგომარეობით და უპირატესობას აძლევს ტრადიციულს წესრიგს. — „Standard“-ს შანხაიდგან ატყობინებენ, როგორც ხმა დადის, პრინცმა ტუანმა, რამდენიმე ათას მონგოლთა ცხენოსნებით პეკინში მიმავალმა, ხუნჯუნში გაიარაო. ტუნფუსიანი წყნარად სდგას კოუნჩელუში და არცა ჰფიქრობს ტუანთან შეერთებას, ან ტაიუენფუში წასვლას.

**ლონდონი.** კაპის ახალშენის რიჩმონდიდგან იტყობინებიან, რომ 13 ივნისს, გათენებისას, ბურების დიდძალი რაზმი მალანისა და სმიტის წინამძღოლობით რიჩმონდს დაეცაო; ბრძოლამ საღამომდის გასტანა. ბურებმა უკან დაიხიეს, როცა გაიგეს მოახლოვება ენდსის რაზმისა, რომელიც 14 ივნისს დილით მოვიდა.

**ლეიპციგი.** გადაწყვეტილ იქმნა ლეიპციგის ბანკზედ კონკურსი დანიშნონ; დაახლოვებით გამოანგარიშებულია, რომ ბანკს 92 მილიონი ვალდებულება აქვს ნაკისრი, აქტივი 159½ მილიონია.

**ოდესა.** გუშინ ტიბეტის საგანგებო საელჩომ დაათვალიერა ქალაქის ღირს-შესანიშნავი ადგილები, საუკეთესო შენობანი და მუზეუმი. საელჩოს მეთაური დაჰპირდა, ტიბეტში დაბრუნებისას გამოგიგზავნით სხვა-და-სხვა საგნებს და წიგნებს მუზეუმისა და ქალაქის წიგნთსაცავისთვისაო. საღამოთი საელჩომ ინახულა „პატარა შადრევანი“, ლამაზად ბაირაღებითა და ყვავილებით შემკული; ზღვის პირად მოედანზედ საელჩო ჩაიზედ მიიწვიეს. დღეს საელჩო დაათვალიერებს წყლის მილის სადგურს, სადაც ქალაქი საუზმეს გაუმართავს. საელჩო ძლიერ კმაყოფილია ოდესაში მხურვალე მიღებით.

**გელსინგფორსი.** 3½ საათზედ მგზავრთა მატარებელი, გელსინგფორსიდგან მომავალი, დაეჯახა კორპისა და ოტალამგის სადგურებს შორის საქონლის მატარებელს, განგედგან მიმავალს; დაწავდნენ ორთქლმავალი, საბარგო და მოსამსახურეთა ვაგონები, დაიმსხვრა ორი საქონლის ვაგონი, ჩაიმტვრა მეორე კლასის ვაგონის კედელი. მგზავრები უვნებლად გადარჩნენ; დაშავდნენ მაშინისტი და კოჩეგარი.

**პეტერბურგი.** დღეს გერმანიის სამხედრო დეპუტაციამ გენერალის გრაფ მოლტკეს მეთაურობით ინახულა კრასნოე სელოში პრეობრაჟენის რაზმი.

15 ივნისი.

**პეტერბურგი.** პეკინის ელჩი გირსი დანიშნულ იქმნა ელჩად ბავარიის სამეფო სასახლეში.

13 ივნისის ბიულეტენი: „დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული და აგრეთვე მალალ ახლად დაბადებული ყოველის მხრივ კარგად არიან.

ბიულეტენი დედოფალ იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა შეწყვეტილ იქმნა.

**ბუხარესტი.** გახსნილ იქმნა პარლამენტის საგანგებო სესია. მეფის ბრძანებაში ნაჩვენებია ზოგიერთი საგანი, რომელიც ეხება საზოგადო სწავლების კანონსა და ავსტრ-უნგრეთთან ხელშეკრულობის დამნაშავეთა გაცემის შესახებ.

**ნიუ-იორკი.** რუსეთის ელჩმა გრაფ კასინიმ, რომელიც დღეს ევროპაში გაემგზავრა განუცხადა „Commercial Advertiser“-ის წარმომადგენელს, რომ ტარიფისა გამო აღძრული უკმაყოფილებანი ამერიკელთაგან არის გამოწვეულიო. გრაფ კასინიმ დასძინა, რომ, თუ საქმე ორივე სახელმწიფოს შორის სადამოენო ომამდის მისულიყო ამითი შეერთებული შტატები იზარალებდნენ და არა რუსეთიო. კორესპონდენტი „Commercial Advertiser“-ისა დასძენს, რომ გრაფი კასინი, როგორც დიპლომატი, ჯერ ისე კოპტიმისტურად უყურებს საქმესაო. ნიუიორკში ყველა იმ აზრისაა, რომ ხაზინის მდივანმა გეჯმა ჩაითრია შეერთებული შტატები უსარგებლო კამათში, რომელშიაც ამერიკა, როგორც გრაფი კასინი ამბობს, ყველაფერს დაჰკარგავს და ვერაფერს მოიგებსო.

**ბეირუტი.** როგორც ამბობენ, დამასკში ოსმალეთის დიდკაც მოხელეთა დაპატიმრების შესახებ ბრძანება იქმნა გაცემული. ერთი მათგანი დამასკაში დააპატიმრეს, სხვა ორმა რუსეთის საელჩოში გადირჩინა თავი რუსეთის ელჩი სხვაგან იყო და დაბრუნებისას გამოუცხადა ვალის, მაშინვე გადმოგცემთ ორსავე მოხელეს, როგორც რომ მივიღებთ ბრძანებას ამის შესახებ კონსტანტინეპოლიდგან რუსეთის საელჩოსაგანაო.

## განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ სამოცი (60) ვაკანსიაა: ორმოც-და-ათი (50) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის უმაწვილებისათვის) და ათიც მეორეში (8 და 9 წლის უმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის, ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში უმაწვილების მისაღებად.

60 ვაკანსიიდგან 55 დანიშნულია გარედგან მოსიარულეთათვის, 3 მისაღებად საზოგადოების სრულ ხარჯზე და 2 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე, იმან უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდის კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, შეუძლებლობის მოწმობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე გკზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ უმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской школою, на Лабораторной ул.**

აგვისტოს 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულე მოსწავლენიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელსაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (5—6.—2)


პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს შემდეგ, გამოვიდა კიდევ ძალი საშუალება

კვერცხის რძე

საძის გასაზდელათ და გასათეთრებლათ. „კვერცხის რძე“ არ ემსმმზსისაგა დაძწვარს კანს, სპობ მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**: დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერივნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—53)

ახალი შევსებული გამოცემა.

# ბუნების კარი

დაიბეჭდა ახალ მეთერთმეტე გამოცემად და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ამ გამოცემაში ბევრად შევსებულია გეოგრაფიული, ისტორიული და ქრისტომატიული განყოფილება. სივრცით ეს გამოცემა აღემატება წინანდელს 80 გვერდით. ფასი კი იგივეა, ესე იგი ოთხი აბაზი ყდით. ხოლო ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 70 კაპეკად, ვინც ოცობით—64 კაპეკად. (3—2)